<u>ზოგადი უნარების ტესტი</u>

ნიმუშები:

- ლოგიკა

მოცემულია:

- ყველა არქიტექტორი უმაღლესი განათლების მქონეა;
- ყველა არქიტექტორი ფლობს კომპიუტერულ პროგრამას - „maya“;

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულებაა აუცილებლად მცდარი, თუ ზემოთ მოცემული დებულებები ჭეშმარიტია?

ა. ზოგიერთმა ბაკალავრმა იცის პროგრამა „maya“.

ბ. ზოგიერთმა უმაღლესი განათლების მქონე პირმა იცის პროგრამა „maya“.

გ. არ არსებობს პროგრამა „maya“-ს მცოდნე, რომელიც უმაღლესი განათლების მქონეა.

დ. ზოგიერთი არქიტექტორი სოციალური მეცნიერებების მაგისტრია და იცის პროგრამა „maya“.

- ანალოგიები

ფუნჯი – ხატვა

ა. მხატვარი – პორტრეტი

ბ. ყინული – დნობა

გ. დანა – დაჭრა

დ. ჩაქუჩი – ლურსმანი

- წაკითხული ტექსტის გააზრება

საზოგადოებაში ყოველწლიურად იზრდება ცნობიერება ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ფიზიკური და ამის უგულებელყოფა დაუშვებელია. სასწავლო დაწესებულებები და სხვადასხვა ორგანიზაციები უფრო აქტიურად ნერგავენ ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამებს, რათა დაეხმარონ ინდივიდებს სტრესის, შფოთვისა და დეპრესიის ეფექტიანად მართვაში. ასეთი ინიციატივები მიზნად ისახავს სტიგმის შემცირებას, ემოციური კეთილდღეობის ხელშეწყობას და ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ღია დისკუსიების წახალისებას. შედეგად, ადამიანები უფრო თამამად მიმართავენ პროფესიონალებს ფსიქიკური კეთილდღეობის გაუმჯობესებისთვის.

რა არის ტექსტის მთავარი სათქმელი?

ა. ფსიქიკური ჯანმრთელობის მნიშვნელობისა და მისი ხელშემწყობი პროგრამების საჭიროების ხაზგასმა.

ბ. ფსიქიკური ჯანმრთელობის შედეგად გამოვლენილი ფიზიკური სიმპტომების აღწერა.

გ. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეფექტიანად მართვისთვის სხვადასხვა სტრატეგიების გაცნობა.

დ. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გამომწვევი მიზეზების ახსნა.

- წინადადებების შევსება

ევროპაში . . . ერთნაირი . . . არ არის, არც . . . ერთნაირი: ზოგან უფრო ცხელა, ზოგან . . .

ა. ზამთარ-ზაფხული/ყველგან/ამინდი/ცივა.

ბ. ყველგან/ამინდი/სიცივე/ნაკლებად.

გ. ყველგან/ამინდი/ზამთარ-ზაფხულია/ცივა.

დ. ამინდი/ყველგან/ზამთარ-ზაფხულია/ცივა.

- **მონაცემთა ანალიზი**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია შაქრის მწარმოებელი ორი კომპანიის მიერ 2013-2015 წლებში წარმოებული შაქრის საერთო რაოდენობის შესახებ.

კომპანიების მიერ წარმოებული შაქრის საერთო რაოდენობა		
წელი	**კომპანია A**	**კომპანია B**
2013	350 ტონა	480 ტონა
2014	390 ტონა	500 ტონა
2015	270 ტონა	440 ტონა

რომელმა კომპანიამ აწარმოა მეტი რაოდენობის შაქარი 3 წლის განმავლობაში?

ა. კომპანია A-მ.

ბ. კომპანია B-მ.

გ. თანაბარი რაოდენობით აწარმოა ორივე კომპანიამ.

დ. ამის დადგენა შეუძლებელია.

- **მათემატიკური ამოცანები**

სავაჭრო ცენტრში საქონლის ფასი ჯერ 10%-ით შემცირდა, ხოლო შემდეგ 10%-ით გაიზარდა. შეიცვალა თუ არა საქონლის საბოლოო ფასი თავდაპირველ ფასთან შედარებით?

ა. ფასი არ შეცვლილა.

ბ. ფასმა მოიმატა 1%-ით.

გ. ფასმა დაიკლო 1%-ით.

დ. ფასმა მოიმატა 0,01%-ით.